

№ 8, 9, 10-11,
12

№ 8-12

13-14



ჩვენ მზა გვსურს... ხალხო,
შეერთდით —
ზავით ანციეთ მზა, ზავით!
გალაპათიონი

დროშა

აგვისტო
№ 8 1992

ქვეყნის



მეზღა ნიჭი კლიერია ქვეყნის დანვის ნიჭი

გალაკტიონი





№ 8 აპრილი (666)

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

დროუა

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო.
სამხატვრო ჟურნალი

საკრედიტო კოლეგია:

აბაძე ბაგრამი, გულნარა ბახტაძე (ა.
სუხიშვიტელის შვილი), ვასილ გვებტაძე,
თაღო ნინიძე, დინარა ნოდია (მატყარ-
ჩელაქტორი), ელდარ შენგელიანი, ჯურაბ
ჭირითელი, თამაზ ზირაძე, ნოდარ
ჯაბეულიძე.

საქართველოს საბჭოთაო საზოგადოებრივი საინფორმაციო სისტემა

რეპაზი მხარეა

წიგნიდან
„ლენინად ბალახბინის
ცნობრებისა“



კიბეველი შეჩვეული ვართ იმ ამბავს, რომ ყოველი დიდი მწერლის, ხელოვანის ცხოვრება მათსავე შემოქმედებას რაღაცით მუდამ შეესატყვისება ხოლმე. ამიტომაც გვიანტრეკებს მათი ბიოგრაფია. გულმოდგინედ ვიძიებთ და ვიმედოვნებთ კიდევ — ერთი შეხედვით თუნდაც უწინმეტელი ბიოგრაფიული ოცდათუ შესაძლოა მთელი შემოქმედების გასაღებად გვეძივს.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ დიდ დამაინებს მეტწილად ბიოგრაფიაც გამორჩეული აქვთ, მათი ცხოვრება რაღაცით მუდამ უჩვეულოა, ყოველდღიურობის შალონებს აცდენილი, ხშირად — ამადღებული, უბრალო მოკვდავთაგანს თითქმის მიუწვდომელიც კი. ამგვარი წარმოდგენა იმდენად გვაქვს გავჯარო, გვეჩოთირება (ზოგჯერ თითქოს გვეთაკილება კიდევც), როცა აცნობიერებთ, რომ ჩვენგან თავუკანდემულ ამა თუ იმ პიროვნებას სიცოცხსლ ისე გაუღვია, მანცდამანც განსაკუთრებული არაფერი გარდასდინა თავს. ასეთ შემთხვევებში მოძღვრებთ თათბერი თავისებურად ასწორებენ „შეცდომას“ რჩეული კაცის თავგადასავალს სასურველ მიზნულ ამბავს დაუკავშირებენ, მეტი წარმოდგენილს სინამდვილედ დასაზავენ და მოშვებებას ლეგენდა, რათა აფორაიქოს უნდოლო ფაქტების გლევი ზედაპირი.

და კაცმა არ იცის, ვინ უფრო მართალია — ამ ლეგენდების შემთხვევნი, თუ სააწებო ფაქტების გულმოდგინედ მიმოპოვებელი და გამწვობელი, ისიც უტოვებელია, რომ ესა თუ ის ლეგენდა მანცდამანც ამ და იმ პიროვნებას შემთხვევით არ უკავშირდება ხოლმე, და ისიც უფველია, რომ ხსენებულ სააწებო ფაქტების ვარუდ ფონს არ გაისვლება მართლდენ ლეგენდების ამბავი.

მათხვევნი ნუ დამძრახვენ, თუ ყოველივე ამის შემდეგ ერთ ალბათსაცამოდ უხირო ნახტობს ვაგაკეთებ — მცირე მოგონება მინდა გაეზიხართ. 1940 წლის შემოდგომის მზიან დღეს ორი მესტუეკლასიანი ბიჭი ვისხედით სოლოლაკში ჩვენი მოსართულიანი სახლის სახურავზე. ომის ჩემმა მეგობარმა დიდედ საიდუმლოდ გამახილა ერთი საშინელი ამბავი: თურმე ბალახბინი ტამბიქ

თუ არ დათვრა, ისე ლექსს ვერ წერსო. „ბალახბინი“ კი არა, „ბალახბინი“ იტყობდა ალბათ, მაგრამ ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა.

მაშინ არც ბალახბინის სახელი გამეგონა და მთვრალ კაცზეც საკამოდ ბუნდოვანი წარმოდგენა შეიქონდა (ამ მხრივ იმდროინდელი თბილისის, მით უმეტეს ჩვენი წყნარი უბნის მით უმეტეს ცოტათი უფრო ნაკლები ცოდნით გვაპროგნებდნენ). ასე რომ, ვერაფერი ვაივად და ვერც იმას მივხვდი, რა იყო ამ ამბავში ისეთი შემადარწმუნებელი, რომ ჩემი გულითადაც მძაქავი ლამის ჩურჩულით მესიტყვებოდა. მაგრამ სწორედ იმ საიდუმლო კილის წყალობით მოხდა ალბათ, რომ ის ამბავიც, ის დღე, ის სიტყვებიც საშუალოდ შეიმომრჩა მესხიერებაში. გვიანლა მივხვდი — თურმე ლეგენდას მახიარეს, თბილისის ქუჩებსა და სახლებში დაჩხულებულ წლობით ნალოთავებ ლეგენდას.

რადგან არავის გვსურდა იმის დაჯერება, რომ ავგერ ჩვენს გვერდით, კრილოვის ათში თუ ურგისის (სწინდელი მარჯანშვილის) თახში ურტინეველად ბინადრობდა კაცი, რომლის ცხოვრება გარეგნულად ჩვეულისაგან არაფერი განსხვავდებოდა. ამ კაცის ყოფა რაღაცით გამორჩეული უნდა ყოფილიყო უმეველად. მაგრამ რით, რით უნდა ყოფილიყო გამორჩეული და უჩვეულო? თავისთავად ის ამბავიც, რომ ეს კაცი გენიალურ ლექსებს წერდა, არასტყბით არ ემართადა წარმოსახვის აღსავნებად. ავი თქვა ამ კაცმა თავისი პირით:

ასხუთიანი ჩაქუჩის ცემით ცა ჩემზე ცდობა ძალთა მიკრებას, მან დამაწავსა მგზავრობა ჩემი ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.

მეცად, სად არის ეს აბობოქრებული ცხოვრება, სად არის შემოქმედების შესატყვისი სიმძაფრე?

გვიანლა მივხვდით: მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — „იქ, შიგნით, სულში“. მის მიერვე დახატული სურათი რომ გავისხენით:

ღამით პრეზრეგად ძლივს მახუტავს
სახოლს
ანდობდენ გრივალს და კორიანტელს,
მანდობდენ ძაძას უფველს ტაძარს,
მას, უბრალომხარს რომ ჰგავდა კანდულს.
აბა დაუფვირდეთ: ეს ძველ მწიგნობარსა გამო არის ნათქვამი. სხედან ტაძარში ავტორნი თუ ვადამწერნი, სახთლის შუქზე წერენ და

ამ მცირე შუქს ანდობენ გრივალს და კორიანტელს, თითქოს ძაძას ხდინ მონასტერს. რა გრივალა ეს, ან რაოვარ უნდა მივხედოთ სახთლის შუქისთვის გრივალთ თუ გრივალისთვის სახთლის შუქი?

ეს მათს სულში მიბობობურ გრივალთა, „ვეფხისტყაოსნისა“ თუ „ქართლის ცხოვრებაში“ ამტყდარი პრივილეგირებული იმეგარი, თვით ბალახბინის სულშიც რომ ბობოქრობდა.

მაგრამ გარეგნულად თითქმის არაფერი ამხელდა იმ გრივალის არსებობას. მის შესვარძობად ან ბალახბინის პოეზიას უნდა სწვდომოდით ბოლომდე, ან კიდევ ბალახბინის თვალები უნდა გქონოდათ ნახაზი: დაკავალთ, შიგნისაგან შექმენოთ, ხესთასფლის მომზარალო თვალები ნათესობილელსა. თანაც ის თვალები ყოველთვის კი არ გამოიზიარებოდნენ ამნაირად: ზოგჯერ დაგმბულთ ჰქონდა მზერა და მაშინ ის თვალებიც ფაქტებით ისოდენ ღარბ მისსავე ბიოგრაფიას ემსავსებოდა.

პო, ქცევა ჰქონდა კიდევ ცოტათი უცხადი — ოდნავ ექსცენტრული მიხვრა-მიხვრა, სავანებოდ და წერადღობული ხმა, ნეივიული ექსცენტრულია. მაგრამ ავგერი დედალები ყველამ ხომ არ იცოდნენ, გინდაც სცოდნოდნათ, ყველა ხომ ვერ ჩახვდებოდა ამ უცნაურობის მიზეზებს. აბა, ათსობით უხაველად აღმანის სხვა რამით უნდა ესულდგმულა. მით მითი სტირდებოდათ, რაღაც უფრო გამორჩეულთან წილნაყარი ლეგენდა. ბალახბინი სხვემსაგან ნამდვილად გამორჩეული პოეტი რომ იყო, ამას ყველა გონიბობდა, ხშირად რომ სვამდა, ისეც კარგად მოეხსენებოდნენ. მაგრამ პოეტობით გამორჩეულნი იქნებ კიდევ მოძებნილყენებ? თანაც ცისფერაწწელების შემდეგ მსმელი პოეტის სახელით ვის უნდა ვაეკვირვებინა ქართველი კაცი, ცალ-ცალკე ეს ორი ფაქტების არაფერი მტყვევებოდა. მაგრამ „თუ არ დათვრა, ისე ლექსს ვერ წერსო“, — ეს უფვე სულ სხვა არ იყო. ამგვარი ცნობა მართლდენ უჩვეულო ამბავს შეიცავდა. რადგან თუ ცალკე სიმთვრალე და ცალკე ლექსებიც თხზვა ჩვეულებრივ რაიმედ მანძიანდ, სიმთვრალეში წერაჯერ არავის სმენოდა. ეს უფვე ლეგენდა გახლათ.

იქნებ ამ ლეგენდაში ის აზრობა იყო ჩაქსოული ქვენობიერად, რომ ბალახბინი ტამბიძის პოეზია რაღაც ისეთ სფეროებს არის ნაზიარე-

საქართველოს



ჩამთვისი ღამისათვის პირი ნათელი,
რას იტანის ჩამაზე შთამომავლობა.
გალაპირონი

ბი, რომელთა ხილვა სადაცაა და ფეხზედ მებრას არ ძალთაშ* აღმათ აიჭ უნაჩინაბა.

ხოლო ლეგენდას რომ დავეხსნით და ფაქტების სამყაროს დაუბრუნდეთ, გალაკტიონ ტაბიძის თავგადასავლიან იმას თუ დავახსავთ ცოცხათა უჩვეულო ამბად, რომ ამ კაცთა ცხოვრება ისე გაატარა, თითქმის არასოდეს უმსახურია. სემინარიამ სწავლის შემდეგ, 1910-1911 წლებში, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, სოფლის მასწავლებლად გამწესდა მცირე ხნით, 1911-1912 წლებში ქუთაისში სხვადასხვა რედაქციებში მუშაობდა, 1922 წელს „გალაკტიონ ტაბიძის კურნალს“ სცემდა. ეს იყო და ეს. ცოცხათ უჩვეულო-მეტოი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვეს ხანაში, როცა მწერლობა პროფესიად იქცა, აღარც ის ამბავია მაინცდამაინც უჩვეულო, რომ მწერალი აოსად მხაზრობდეს.

დაიას, ფაქტების გარეგნული მდინარეობის თვალსაზრისით ამ კაცის ცხოვრება თითქმის არაფრით გამოირჩეოდა იმ ზომამდე, მისი ბიოგრაფიის დაწერაც კი საქანლო საქმედ არის ქცეული. ოღონდ კაცის ცხოვრება ის ზომ არ არის მხოლოდ, თუ ორიღის სად მიზნადობს, როდის რომელ გეოგრაფიულ პუნქტს მწევსა, როდის ვის ხვდება, რას ჭამს და რას სვამს. კაცის ცხოვრება მთლიანობაში მაშინ არის ჩვენი ცნობილი, როცა ამ გარეგნულ ფაქტებთან ერთად მისი ფსიქიკის, მისი სულის ასავალ-დასავალსაც ვიცნობთ ასე თუ ისე.

ხოლო გალაკტიონ ტაბიძის სულოვ ცხოვრებას ერთობ მკირიღნი თუ იცნობდნენ სინამდვილეში. ის, რაც გარეგნულად ვლინდებოდა ან როგორც გარე მხენი აღიქვამდნენ (და შემდეგ ჩვენ გვიზიარებდნენ), არცთუ იშვიათად კარიკატურა უფრო იყო, ვიდრე ქეშმარიტი ხატი დიდი პოეტის სულისა.

გალაკტიონ ტაბიძეს ერთგან უყვროდა:

იმ მაღალა, დიდა მაინც,
ნისთვის მოისწია ზარების ზარი

მეორეგან:
იგი დაფნის იყო ღირსი,
ოცი ცეცხლით აწყოდა.

მესამეგან:
თითქმის სული სადმე ვლიდს
და გულს ცეცხლს მღებობდს.

იქვე სხვაგან:
იხიბებოდა სული დიადით,
რის მიმოდლებს სწვდებოდა არბი

ამგვარი იყო თავდაც: ზარების ზარის მსმენელი, დიდი ცეცხლივით აღობრუნებული, სიმამლეთა მწვდომელი, რუსთაველის სიტყვები რომ დაფრთხით — „ზემედეველი ცნობის“ მფლობელი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ზნორად, ერთობ ზნორად არ ესმოდათ მისი, აღონ ვერ უღებდნენ, მის ნათქვამს უტოდებოდათ აღიქვამდნენ ხოლმე.

მაგრამ, ვარდა ამისა, ისიც კაცი იყო, „აღამის ტომთა“ შთამომავალი. მისი სული გამუდმებით კი არ ვლიდა ზესთა სფეროებში, გამუდმებით კი არ რეკდა „მისი პიზნები გენიალური“. ზოგჯერ მასაც ეწედა ჩვეულებრივით, ყოველდღივით, წარმატებით ტუბობა, ნუგეშის პოეზია, აღიარება, თუნდაც ფუჭი პატივმოყვარეობის დაქმანობილება. ასეთ დროს კირვეულოც იყო, უმწეოც, ზოგჯერ ასაცილოც, ხანდახან ძნელად საგუებელიც. კომიკური იყო კონტრასტი, რომელიც მის სიღიადესა და მის წვრილმან, ამო ცხოვრებისეულ წყვეტებას შორის იქმნებოდა. რადგან ბავშვი იყო, დიდი, ახოვანი, თანაც ზოგჯერ ცივირ ბავშვი. 1921 წელსვე პოეტების მეფედ აღიარებულ კაცს იყო, ოცდაათი წლის შემდეგაც რომელსამე სტუდენტურ გაზეთში ამპიოთხული ქების სიტყვები სწორედ ბავშვურ სიხარულს ჰგვრიდა. მერე მოჩვენებობა — საქმარისად არ ვაროთ აღიარებულ. ასეთ წუთებში გესლიანი იყო, დაუნდობელი. ხანდახან ცოტას თვალთმაქცობდა კიდევ,

არტიკობდა, ქირქილებდა. „ამპიკო, — შეესიტყვევობა ვისმე საგანგებოდ დაწერილებული ხმით, — საკვირველა სწორედ, ამპიკო“, მერე თავის ამოუცნობ, პინანოზური ძალის მქონე თაფლისფერ თვალბს შეანათებდა თანაც ვინ არ იყო მისი მოსაუბრე — შემთხვევითი, ჭრელი ხალხი, დაწყებული ლუღბანაში აკიდებულ მემთავალით და დამთავრებული მთავარი კალმოსნებით თუ გრაფომანებით, თავიანთი თავი სამყაროს ცენტრად რომ აქვთ დასახული და მაინც ასე სულმოსწრად ფებულად რომ უყვართ ცნობილ აღამაინთა გვერდით ამოტმანსება.

ასე რომ, თუ გვსურს გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიას მის მთლიანობაში მივწვდეთ, ბიოგრაფიული ფაქტები და თვითმხილველთა მოგონებები არ უნდა ვიკმაოროთ, საამისოდ მთელი მისი შემოქმედება უნდა გავთვალისწინოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების ღონზე განვიხილოთ მისი ლექსები, არამედ სწორედ ამ ლექსებიდანაც გამოვხედოთ ფაქტებსა და მოვლენებს, გარემოს, ესე იგი მათს შემქმნელსვე დავეცნობოთ მებრას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულის ბიოგრაფიულ მოვიწინწინოთ. მაშინ შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება უმდიდრესი ფერებით მოვლევარე გზა ყოფილა.

1971 წელი.

გალაკტიონი, კ. ბალმონტი და ვარლამ რუხაძე ქუთაისში.



ენობის



წიგნიდან „უნიონი“

ერთი სიურპრიზი კიდევ შემოგვკეთავს: ლექსში გადარჩენილი ფიროსმანის ფარშვანგები!

იყო კუნძული მტკვარზე, იდგა კუნძულზე რესტორანი. კედლები რესტორნისა მისტა მხატვრისა.

მოკვდა მხატვარი, დაიწვრა რესტორანი, გაუქმდა კუნძული.

და მხოლოდ პოეტის სტრიქონებში დარჩა და გადარჩა მხატვრის ფერსკა — მელოდიური მეტაფორა:

მიეთოვოს, მიეთოვოს
კედლებს ფარშვანგები.

გალაქიონი და ფიროსმანი! თბილისის ქუჩებისა და ქუჩაბანდებს ანსოვს ორი მოხეტიალე ქვინია, ორი მარტოსული, ორი უცნობი, უცნაურ ვარკვლავზე დახატული დიდი ბაგშვები: ერთი შეუცნობელი და დაუფასებელი, მეორე — აღიარებული და ტიტულოვანი, — და მაინც ორივე ერთნაირად შეიხსნული და დაწყვეტილი.

მათი გზები მართლობის დღესასწაულზე შეხვდნენ ერთმანეთს, ბავშვის შექით გაბრწყინებულ გზაშესაყართან: მხატვარი თითქმის ითხოვოდა საყვარელ ქალს, პოეტი თითქმის ავტოცივდა მხატვრის ნაკვლევზე ხეტიალს, მხატვრის ამქვრბასა და ამქვრბებს უახლოვდებოდა.

ერთმა ამითავანმა — ჰუჭურე მიხა მირზოვემ — ათასცხრას ორმოცდაცხრამეტე წლის ოცდაერთ წელამდეც მოაწოწია, და როცა რეპროდუქტორიდან სამგლოვიარო მელოდის პირველი აკორდები შემოესმა, რის ვაი-ვაღლახით წამოიღვა სწორად, სიცხით გათანაგული — ბოლომდე ფეხზე იდგა და ნიკალს ხათობდა და ნიკალს მავერი — ასე გააცოცხლა და პატივი მიავი მთაწმინდის აღმართისკენ აღმავალს, რომელსაც ხანვეარი საქართველო მიაცილებდა...

მთაწმინდისკენ აღმავალმა კი, ზუსტად ოთხი ათეული წლით ადრე, პირველმა დაიტრია წინა წელიწადს უპატრონოდ გარდაცვლილი მწუხარებების მქონაზე (იქნებ ერთი წლის შემდეგ შეიტყო? ერთი წლის შემდეგ კი არა — მგონი ჭყავდა არ იცის — არა, ნამდვილად არ იცის: ცოცხალივით იხსენიებს):

სგულ სტრასი და როს წანას,
კოქლო სპაჰკ, კვირღები,
დაწაწე ფიროსმანის
სევდიანი ტვირთები.

და ვარიანტიდან ვარიანტში გაგვიცოცხლა და შემოგვიანა ფიროსმანის სამყარო: მადათივის კუნძული, რესტორანი „თეთრი პელიკანი“, მტკვრის განათებული სანაპიროები, ზნათარი, ყორანი, ტრეები, სახანდარი, საიათნოვას დაუახლოვებელი პანგები, ფერიებისა და კახების კივილი, ფარშვანგები, იძების დარდები (იქნებ ხომ ხშირად ხატავდა: იქნებ აქვე მოხატა?!) და კოქლო სპაჰკ, რომელიც ერთხელ კიდევ გაიხსენა: ძველი აშუარის შაჰარ-ოლანის მუხამბაზი ჩაიფერა:

კოქლო სპაჰკ დაღის დახალახითა,
თავი, პირი გასვრია ტალახითა —
მზღღმუღი, მრულე პირისხითა,
ფეხებს ათრევს ვაითა, ვაგლახითა.

ხოლო ამ სტრიქონების გვერდით კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მიგვანთნა:

— ოთახში ჩამოკიდულია გალიები იაღონებით.

მეორე ლექსიც მალე დაწერა — „ტფილისი“. აქ უკვე აღარ იხსენიებს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, ამოცნობთ: აქაც ათოვს მადათოვს, აქაც ლამდება და მტკვარი ბრწყინავს, კვლავ მუხარე სიზმრები და წმინებანი ენაცვლებიანი ერთმანეთს... და მალე დამატებითი ფერები და კონტურები გამოჩნდება: არსენალის მთა და ეთრავები (იქნებ ესეც ფერსკეხვა გაუქმებული?!). ფონი თითქოს ნატურიდან ანუ ნახატიდანაა გადმოწერილ-გადმონახტული: ლაკონური და მარტივი („კა — ოკანე, მოვარე — ნარტი“): მთავარიანი ცა მთასაც კი ავიწროვებს და ოკანებს დასმკვრივება — ატალღებელი, იშლება სასღვარი ხაზებსა და სტრიქონებს შორის და თვითონ ფიროსმანის ხატებაც გამოგვეცხადება. ახლა კი ყოველივე უფსიხ პოეტები:

და მესიზმრე შენ, ვისაც ქვრა
სამოსი გმოსავს ნუნულ ოცნებით
და არ შორდება დღისმშობლის ცქერა
სასუქ ქართული პატოსინებით.

ამ ცრემლნარებიც და სევდანარევი ტრეებიც აღრესატი უცნობია. ჩვენს ვერაუღს კი ერთი ფაქტი აძლიერებს: პირველი პუბლიცისისის სარეცენზო სტროფს კიდევ ერთი სტროფი ერთვოდა, რომელიც წიგნში აღარ შეუტანია:

მომხაღრღვა ძვირფასმა ხატმა
და ბედი ჩემი წვა არის მისი

და ირბი გზით გამოყვანს საღმე მარადისი და ძველი ტფილისი.

არანაკლებ საყურადღებოა მეორე ფაქტი: ზარნიშან წიგნში ორივე ლექსი თანამიმდევრობით დადებულა: „ტფილისი“ და მეორე „თეთრი პელიკანი“. თანაც პირველს განმეორებული რვა ბოლო სტრიქონიც მოაყვება, მოვალწერტოვლობით ტრეპებით დასარულა, დაუთავიფრებელს დაემსგავსა და ასე უფრო დაუკვირბა მომდევნო მეორეს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა რიტმებია. მოგვიანებით დიდ დავთარში თავისი რჩეული ლექსების, სტროფებისა და სტრიქონების ვრცელი კოლაჟი შეაჩრია და უცნობის მოსიზმრებას უშუალოდ მოაყოლა: „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს...“

რაც მთავარია, მხოლოდ გალაციონის შექმლა ალბათ ფიროსმანის თვალში მაშინვე დგომოჩინა და ამოცენო „ღღისმშობლის ცქერა, სასუქ ქართული პატოსინებით“.

ღალღ ასათიანიც გუმბინთ იგრძნობს და გაიხსენებს ოცი წლის შემდეგ: „მართოდენ გული და ბაჰლოლი პატოსინება“, — და უნებლიეთ დაგვემორწმება.

ასე შეუცნობლად ხვდებიან ერთმანეთს პოეტები!

პოეტები და მხატვრები! ერთი დაუსრულებელი ლექსის ნახევრადგართმული სტროფიც წაეკითხოთ და კომენტარისაგან თავი შეეკავოთ:

თვატრს შემდეგ მარლი ორი
ქელმა მადაოვს გაგვინაპარა,
სახეში გვეცმდა ნიავის ტბორი
და წსქვიღებში იბრძოდა მტკვარი.

ფიროსმანის აპოლოგია პოეზიაში და არა მარტო პოეზიაში ტოვა მოგვიანებით დაიწყო და დღემდე გრძელდება. სხვაგა აიტაცეს, გულში ჩაიკრეს, მისსაკუთრეს, გაიტანეს, გადმეორეს. ჩვენი პოეტი კი არავის გასენებია, და მხოლოდ სხვა თაობის კაცი, ჩემი თაობის მხატვარი მოგდა ჩემთან და დამაკვილიანა.

გალაქიონმა კი, მიუხედავად თავისი დაუღვავებელი ცხოვრებისა, როგორღაც მოიპოვა თუ ვამბობა და 1930 წლის 20 ივნისს საქართველოს ეროვნულ გალერეას ჩააბარა ფიროსმანის „პატარა მეთევზე“ (ესეც სხვას მიეჭრეს).

ხოლო 1935 წლის ივნისში, სამხატვროდ, პარიზში, ვერ შეხვდა ილია ზნანავიჩს — ფიროსმანის ერთ-ერთ აღმომჩენსა და პირველ

რა ვაკეპრობნი

რეცენზენტს, რომელსაც — როგორც ფურცლებს პოეტს — კარგად იცნობდა, ვიდრე ეს უკანასკნელი უცხოეთში გაემგზავრებოდა:

— უზარმაზარი ცილინდრით, ხალხის ყუბაღლების მიწნად, დადიოდა ილია ზდანევიჩი.

ეს შეხვედრა არ შესდგა, მიუხედავად ზდანევიჩის აქტიური მღელღობისა: რამდენიმეჯერ მოაკითხა სასტუმროში და ვერ დიპირა. წერილი დაუტოვა „პალას ოტელის“ ბლანკზე: გუშინ საღამოს ორჯერ ვიყავი და ვერ გნახე. ზვალ დალით მიგაღ 10 საათამდე, იმედი მაქვს მოვისწროებ, რადგან ძალიან მიხდა თქვენი ხმათა.

როგორც ჩანს, მიიქცევი შეხვედრის ერთმანეთს: მეორე ბლანკზე კვლავ სწუხს ემიგრანტი: ბევრჯერ შემოვიარე და ვერსადღეს ვერ მოვისწროე, მოულოდნელად ვთხოვებ. ბედნიერ მგზავრობას უსურვებ, მოკითხვას აბარებს მეგობრობითან და სთხოვს: იზრუნე „ჩვენს სართო საქმეზეთ“.

პოლონელი მამისა და ქართველი დედის შთამომავლები — ძებნა ზდანევიჩებმა მთელი ცხოვრება დაფარისანის ნახატების ძებნასა და ფადარჩენას, მოპოვებასა და შესწავლას შიშობდნენ. ილია ზდანევიჩმა 1916 წლის 5 მაისს თბილისში საკუთარ ბინაზე მოაწყო მხატვრის ცნობა ნახატის პირველი ერთდღიანი პერსონალური გამოფენა, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, და პარიზში ფიროსმანის ოთხმოცე შედგერის გამოფენასაც მოესწრო 1969 წლის მარტში. დაუცხრომელ მეციცნბეს არასადღეს განელებია ეს ინტერესი და უნდა ვივარაუდოთ, რომ „სართო საქმე“ ამგვარადაც ნიკაოს შეხვედრა.

დღეს შეიძლება დარწმუნებით ითქვას: გალაქიონმა შენგებულად აარიდა თავი თბილისელ ნაცნობს, რომელიც 1921 წელს წვიდაც ემიგრაციაში. პარიზში გალაქიონი არ შეხვედრია საქართველოდან წასული არცერთ ემიგრანტს. თუ ვასწავთ, ვამგზავრების წინ ბერიამ დაიბარა და ესაუბრა. მასთან ერთად მიიწვია კონგრესის მეორე დელეგატი, სომხეთის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ვაჰრამ ალაზანი:

— ალაზანს ეგინია, ბერიას არა, სამუქნაროდ, ალაზანის შიში და გალაქიონის წინათგონობა გამაბოლდა: მომავალ წელს ალაზანი დააპატიმრეს, დააპატიმრეს საბჭოთა დელეგაციის წევრთა თათქის ნახევათი. და თუ იმასაც გავიხსენებთ,

რომ მრავალ რეპრესირებულს სწორად პარიზის შეხვედრები წაუყვებოდა ბრალდებით, გალაქიონის სიფრთხილედ სავსებით ვასავები და გამართლებულია.

ეტყობა, სახიფათო სიტუაცია ილია ზდანევიჩმაც იგრძნო და მეორე ბარათში ერთბაშად გამოეთხოვა და გზა მოულოდნელად.

მაშინ ზდანევიჩის ორი პატარა ბარათის თბილისში ჩამოტანაც საირსკო ვახლდათ: ალბათ საქმარისი იქნებოდა თავისებურად გაუმჯობრებული რუსულად მინიშნებული — „ზა ნაშე იბმედე დელა“! მიუხედავად ამისა, გალაქიონმა ეს ბარათები პარიზიდან ჩამოიტანა და ბოლომდე შეინახა. თუმცა „პალას ოტელის“ ამ ორი ფარატინა ფურცლის მოძებნა პოეტის უზარმაზარი არქივის ლაბირინთებში თვით საბჭოთა სუკის აგენტებსაც გაუჭირდებოდათ.

როგორც ირკვევა, ორ ემიგრანტს მაიქცე შეხვედრის პარიზში, მაგრამ ისინი 1915 წელს — რევოლუციამდე გადასახლდნენ საფრანგეთში და ალბათ ამიტომაც უფრო სარდონი აღმოჩნდნენ:

— მხატვარი ლარიონი და გონჩაროვა, ანა კარავაევის ქალი და მე ვაგაენებამდე დავდიოთ ე. წ. „პარიზის სტრამაქ“ში.

ცნობილი რუსი მხატვრები, ცოლქმარი მიხეილ ლარიონი და ნატალია გონჩაროვა აღწერილი პერიოდში პრივილეგიებში იყვნენ გატაცებული და პრივილეგიუბების ნახატებსაც ავრთმდნენ. საუკუნის დასაწყისში მათ მოსკოვში ავაზარდისტების სამი საინტერესო გამოფენა მოაწყვეს. მესამე და უკანასკნელი 1913 წლის 24 მარტიდან 7 აპრილამდე გაგრძელდა. სწორედ აქ გამოჩინდა პირველად ფიროსმანის რამდენიმე ნახატი, რომლებიც ლარიონის თხოვნით ზდანევიჩებმა წარადგინეს: „იერემი“, „ილია ზდანევიჩის პორტრეტი“, „გოგონა კათა ლუდი“ და „ნატურმორტი“.

მიხეილ ლარიონი გახლდათ აგრეთვე ის პირივინა, რომელიც პრესაში პირველად ახსენა ნიკო ფიროსმანი (1913 წლის 7 იანვარი, „მოსკოვსკაია ვაზეტა“).

— დიდად პატივცემული ილია მიხეილის ძემ! უმოჩინოდ და ვიხოთ მომწიფოდათ წერილი ფიროსმანზე... ძალიან გზოხვთ გამოძიებზე... თანევი ძმის ნახატებთან რაც შეიძლება ბევრი ნახატი საუკეთესოდ (აჩვენე უკვე შევიყვარეთ), აგრეთვე მისი შესანიშნავი ფირნიშები. —

სწერდა მიხეილ ლარიონი მიხეილ ლარიონი ილია მიხეილის მე ზდანევიჩის თბილისში (როგორც ვხვდებით, მიხეილ და მიხეილის ძეც პარიზში აღმოჩნდა საბოლოოდ გახიზნული).

სწორედ ამ ილია ზდანევიჩის ვერ შეხვედა გალაქიონი პარიზში 1935 წლის ივნისში და სწორედ ამ მიხეილ ლარიონთან და მის მეუღლესთან ერთად დაეხატებოდა დილაძედ „პარიზის სტრამაქში“ ანუ ლამის ცენტრალურ ბაზარზე, და მწელი დასაჯერებელია, ფიროსმანზე ასე შევიყვარებულ რუს მხატვრებს ოცდართი წლის შემდეგ ქართველ პოეტთან შეხვედრისას არ გაეხსენებინათ „საუცხოვოდ და არაჩვეულებრივად ნიკო ფიროსმანი“, რომ არც დალაპარაკებია და ისე შეახსენა წერილობით — საქმეს მიხედვით, — იქნებ ლარიონისა საშუალებით გადასაცა ზდანევიჩმა თავისი განზრახვა, ანდა რაკი პირად აღუდგინა ვერ ძიარია, სულაც თვითონ მიუგვედა ფიროსმანით არაბაკლებ დაინტერესებულ იკოლქმარი, რომლებიც უკვე საქაბოდ აღიარებულები ვახლდნენ, რადგან მსოფლიოში სახელგანთქმული დიავიდევის საბალეტო სექტაკლებს აღორმებდნენ.

ასე რომ, პარიზის ცის ქვეშ ფიროსმანის „მეგრეთსი მხატვ“ მიუძღოდა მეგზურად ყველასთან, ვისაც შეხვედა და ვისაც ვერ შეხვედა.

ცოტა მოგვანებთ მთელს დაწვლად შეგვეკითხა:

— სად ვხვდებით ერთმანეთს მე და ქართველი მხატვრები: ძველი ფრესკები, ფიროსმანიშვილი?

და ეს შეკითხვა უპასუხოდ დაგვიტოვა.

ჩვენ კი ვუპასუხებთ: რიყის მიდამოებში, 1938 წლის 27 მარტი:

— ქალაქში ხეტიალის ხასიათზე ვიყავი. დავაფილიერე რიყის მიდამოები... იღებდე ძველ საბლეს, ამაგრებდე მტკვრის მარცხენა ნაპირს. უკვე აღარ არსებობს... ახ სხილი, სადაც სცხოვრობდა საწყვლი ნიკალა ფიროსმანიშვილი, მხატვარი, რომელმაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაითქვა სახელი. აღებულია სახლი, სადაც სცხოვრობდა ერთი ძველი ტფილისის და ხალხური შემოქმედების გეი.

ხოლო „საწყვლი ნიკალა“ თავისი მართობობის განუყვარელ მოზიარესთან ერთად გაიმეორებს:

შემდეგ არაა არსად ახალი ცა — ოკანე, მოგვარა — ნაფოტი, ტფილსი ჩემთვის არის მალაიკა გილიტინა და ესუფოტი.



მოშიშორ ბანის ღმერთს კრებულ ბაღაბთონ ბაბიძისა ბაქროვანებ, ბანცხად წაღობი, პირდაპირ ყვავილივით სახან, იარაღობიარანი, ბაბილი ბაბთონ... მთავრით მოსტბის, მოიხლარის ღმერთს მიდინარა...

ბაბილი ბაბროვი



ალაკტიონ ტბიძეს ქართულ პოეზიაში აკაკიმ დაულოცა გზა და უფუფი დიდი ცოცხლად ხილული დიდი წინაპრის მგლო იყო, რომ მის სტრიქონს არასოდეს დატყობია ნამოსაღვრის ცვლი, ყველაფერს გამოარჩევდა უჩვეულოდ მიდინარება, სიანქარე, პერიოდები.

მოკა, მგბრა როდის?

სოკისა მგბრა

სეყოთოთ ბაბილი, მგბრა მონი მანქანი... მოკა, მგბრა როდის? სეყოთოთ ბაბილი, მგბრა მონი მანქანი... მოკა, მგბრა როდის? სეყოთოთ ბაბილი, მგბრა მონი მანქანი...

შორეული ქალის ეში მოკა... მგბრა როდის? სეყოთოთ ბაბილი, მგბრა მონი მანქანი... მოკა, მგბრა როდის? სეყოთოთ ბაბილი, მგბრა მონი მანქანი...

Handwritten signature

მერის თვალებით

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე დამე დახურულია გული, როგორც საკანი რამე. თითქმის უმძიმეს კარებს კურანის დადილ ლუქი, გულში ვერც ზეცა ატანს, ვერც სინაირის შუქი, ვაუდაბურდა ჩემი ყოფნის ყოველი წამი, ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე დამე, თქ, მომიცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა, არც პოეზია მატბობს, არც მეგობრობა წმინდა, ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე დამე, არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი. ჩამობურთოს ზეცა, მისიც აღარა მკურა - მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!

უძირით ტბაში ასარეული, აკაკის შთავონებით დახატული ყველაფერადგებულ გვიღვით მასაც შეველოთ იოქა "სიმღერით კვეციბით", რადგან მღერობა დაანათლა გალობის განუყოფლოდებელი ნიქი, არამაქვეყნიური ბგერების ჯიღოქრულ, შეთანხმებულ ყლროს, პარმონის უმღიდღრეს საუფლოს, აზიარა. ამიტომაც გამუდმებით არხვედა მის დაუდგარბოლ, ევლოგოუსს ამუსიკის მსუბუქი ზვირთები.

ადრეული ქაბუტობიდანვე იცოდა, უსაზღვრო სიერცეების, "უქცაავე" მის ბინადარი" რომ იყო და მასავით არავის ეიოღებოდა სიკვილის სხეუნება; სხვანაირად ვერ იტყვოდა: "სიკვილის გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა..." სასწაულოდ გამაზილეული სენა რომ არ მჭონოდა, ვერ იგონებოდა, ვერ გაიგონებოდა ადრე წსულთა, ლანდებად ქცულთა იღუმალ მიხილს:

...და მეძახიან შვიდი სანფლოში მთები, სოზრბო და წინაბილი.

პოეზია, ლირიკა მას გაჩენის დღობდა მშობინარე საოცრებად მიჩანდა, თავისი სიცოცხლის ერთადერთ ფორმად და გამოვლინებად თვლიდა. მისი სიტყვებია: "დასამაბიდან მოლოღევებს ლირიკის შუქი, იგი არ არის უბრალო რამ, რამე ქსუბუქი, ზენა ნიქს გარდა, არსებობას მისს ეწინება თავისებური გამოსახვა და შეეცნება..."

ლორიკა რომ "უბრალო რამ", თავი შესატყვი და სალალობო გასართობი არ ვახლავთ, ამის უპირველესი მაგალითი თვით პოეტის მოწამებრივი, ჭვარცმული ცხოვრებაა.

ყველა დიდი და ქეშპარიტი შემოქმედის დარად, ვალცხვირონ ტბიძესაც ტანჯავდა ოცნებისა და სინამდვილის გამოვლი, ცოდნულაბივი ზღვარი, მათ შორის ჩაქვეული უფსკრული. კარგადაა ცნობილი, რომ მას არ გაანდა პრაქტიკული ცხოვრების არავითარი უნარი: ოციან წლებში, როცა შეიღიზნე ქმინდა თავის შედეგებებს, უხილბა მიქვას, იგი მიმშობობდა (ეს არ არის გამოჩინაობა, ერთადერთი სირცხვილი, რაც საქართველოს და არამართო საქართველოს უქმანია), უჩებუბრად ვაგახსენებდა მალარმეს წერილები, წუხილი იმაზე, რომ სა



ბალაქტიონი და

ვათა-ფხველას მუდღე ჩარგალში.

უხერხულ უკვლავი

არსებო წყაროს ძიებამ მისი ცხოვრების მრავალი დღე შეიწირა და ამით რამდენი დაკარგა მისმა ხელოვნებამ. სხვათა შორის, მალარმე დიდებს „მოძველებულ სისულულეს“ უწოდებდა და სჭარბებდა სულ რამდენიმე ერთგული და გამგები მკითხველი, თითქმის ჩამოსათვლი სულიერი მეგობრები ჰყოლიდა.

მალარმესგან განსხვავებით, ბალაქტიონ ტაბიძე სულაც არ იყო გულგრილი დიდებისადმი, პირიქით, დაუხერხულად ელტვოდა და შეიძლება ამანაც გაუადვილა იმ აურაცხელ უბედურებათა გადატანა, ათასი შხაბით სასვე ცხოვრებამ რომ შეახვედრა.

ბევრს, ვინც თითქმის ყოველდღიურად ხედავდა ამ ღმერთაქს, იგი უღარადელი, დროსტარებას და თრობას გადაყოლილი ეგონა, წარმოდგენაც არ შეეძლო, რა კუპრი ღუღღა მის გულში.

არამოდენა იმედის გაცრუება და ტყვილი უნდა ეგრძნო ჟუკე ხანში შესულს, რომ თავისი ერთადერთი იმედის, სდიფირი სამშობლოს შემხედვარეს ეთქვა:

რა უფრო გულდამწყვეტი,
მეტბო და დიდობს ველო,
მიდილი, თან ფიქრობდე:
ეს არ არის საქართველო!

არის რენიფხების ზღართი,
არის ავტო-მოტო-ველო,
არის ოჯახებზე, მგვარამ
ეს არ არის საქართველო!

გულიდან ამოხეთქილი სტრიქონები უშეკრეს განაჩენს გავს; თავზარი დგავთქმა — გადაფარების, სუ-

ლიერად დაცემის ისეთი საშინელი სურათია დახატული.

თუ როგორ აგვიხდა ეს წინასწარმეტყველურად ნათქვამი, ნაღველით შეფერილი სიტყვები, დღეს უკვე საგნებით ნათელია. ჩვენივე თვისტომთა ტენიდანშულობის, სიბნელის გამო, რამდენი რამ გავეთდა მტრის ვასახარი, საქართველოს დასაშლელი და მიწასთან გასასწორებელი, თუ დროზე არ გამოვფხზოლით, არ მივყვივით ვანების ხსნა, არ ვიქვინით ჩვენი დიდი სულიერი და მატერიალური კულტურის ღირსეული მემკვიდრეები — გადაშენება და სრული გაქრობა არ აგვეცლება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ ანექდაში, სადაც ბალაქტიონის ფენომენს რუსთაველისას ადარებდნენ. მეკითხებოდნენ, ისიც, რუსთაველის მსგავსად „საუბუენების განმავლობაში ხომ არ დაითრუენავდა და შეაფერხებდა ქართული პოეზიის განვითარებას. სრულიად უსაფუძვლო და გაუფიქრებელი იქვე გახლავთ. ბალაქტიონის შემოქმედება ერთთავად დაუცხრომელი ძიებები, ახალი გზების, გამოსახვის, საშუალებათა წივგატორული ხერხების გახსნა და რანაირად შეიძლებოდა (სურვილიც რომ ჰქონოდა) მას ჩიხში მოექცია მომდევნო და მომავალი თაობები.

საერთოდ, ბალაქტიონის წვლილი ჩვენი პოეზიის განახლებაში განუზომლად დიდია, მაგრამ გულტორევილობად შეჩვევა, როცა მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის თვისობრივ გადახალისებას, ფერისცვალებას, მხოლოდ ერთ პიროვნებას მიანწერენ, ეს ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაში გვაყენებს; გარდა იმისა, რომ საერთო სურათს ამახინ-

ჯებს, თავად ბალაქტიონ ტაბიძესაც არაფერს მატებს.

ქვეშაირიტი შემოქმედი რომ არ ბერდება და ბოლომდე ამჟღავნებს თავისი ამოუწურავი ნიჭის მრავალსახეობას, ბალაქტიონ ტაბიძე ამის საუცხოო მაგალითადაც გამოდგება.

ისევე, როგორც გადაბეული, ხნიერი ზე ამოყრის მწვანე ყლორტებს, მერე ტოტები გაუენდღებდა და ძვირფასი ნაყოფით დაიხუნძლება, ბალაქტიონ ტაბიძემაც სიცოცხლის მიწურულს ბევრი ისეთი ბრწყინვალე ლექსი შექმნა, მის აღრინდელ შედევრებს რომ ეხმაინება და უტოლდება.

დიდი პოეტი მრავალ რაშეს შთამომავალთა, თვით შომავლის ვასაგონად ამბობს, იცის, მისი ხმა შორეულ საუბუენებს რომ გადასწვდება და „ცხოვრებისაგან დაჭრილმა ლომმაც“, „მილიონებში ხელის მრეველმა“, თავისი გულქვა, უმაღურა ხანა რომ დავხატა, მათქვის შემბოკვი ბოროტების სახე ეჩვენებინა, ყოველგვარი მოიარების გარეშე თქვა:

მეყანა გაცავს, ვით ძელი გროში,
უღაბურებად იქცა სოფელი,
არ გაჯივრდეს, რომ ასეთ დროში
მცირე ბედისაც ვარ ცმაყოფილი...

სვენაურ ფოლკლორში გამოჩეულ, ლეგენდალ დარჩენილ გმირებს „უბერებელ-უკვდას“ უწოდებენ. ჩვენი წარმოსახვაში სწორედ ასეთ „უბერებელ-უკვდავად“ დარჩება „ლურჯა ცხენებისა“ და „შობობლიური ეფემერას“ ავტორი, იმ აურაცხელ საუნჯეს, ბალაქტიონ ტაბიძემ რომ დავიკოტვა, ახლოს ვერ გავეკრება ჟამთსევის ანჯი, იცნ კეკობა და გახუნება უწერია.

გაგულში, ტყვეში



— მი იმერეთში წავალ, თმამე სამით?

— მიც იმერეთში, ჩემო ბაბონო.

ხალაქბონი

ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა:

„საქართველო მულამ იმაყვებს სამი გენიოსის სახელით. ესენი ვახლავთ: რუსთაველი, ვეფხველია და ვალაქიონ ტაბიძე. ხანდახან აგრე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა ვალაქიონის უფაქიზესი ლირიკული შედევრებს ვერ დაწერდნენ.“

მე, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: ვალაქიონისთანა დიდი ვირტუოზი გუქისია არც საქართველო და არც ჩვენს პრინტებს არ მოეკვება.

...ვალაქიონის ბრეზია, სამწუხარად, კავკასიონის გადაღმა ვერ გადასცდა... დღე, იყო ვალაქიონის მართლდენ ჩვენი საქართველოს ვალაქიონი, ვანუშორებელი ორფესი ქართული სიტყვის მუსიკისა.“

მიუხედავად კავკასიით მისი „შეზღვევა“, იგი მაინც „გადასცდა“ მის სახელებს და მსოფლიო პოეზიაშიც გახდა ცნობილი. როგორც საქართველოს მეგობარი და ჩვენი პოეზიის ღრმად მცოდნე, გამოჩენილი უკრაინელი მწერალი ვიტალი კორბიტჩიწერს, „ვალაქიონი რომ გახდებოდა, საუკუნეთა მხრებს უნდა დაეკრძალო, ვალაქიონი იგივე რომ ვეცდებოდა, საუკუნეთა მხრებს უნდა შედგომოდეს საუკუნეებს.“

...იქსი ჰვავს ვალაქიონი? არავის, ვით საქართველო არა ჰვავს არც ერთ სხვა ქვეყანას.“

დაიხ, ვალაქიონი ერთადერთია. მეფეა ქართული პოეზიისა, მეფე ლტოლნივე ზნანებისა, ერთგულს სურსთკეთვითა და თავდადებით. სამწუხაროდ, ოქროს საწყისისა და პრინციპისა, ამირანის ქვეყანაში, ვერ მოეთესხეთ ნავსაყუდელი...“

ამიტომაც იყო, რომ ყველასაგან მიტოვებულნი ვალაქიონი ისე დაბაიჭებდა მშობლიურ მიწაზე, როგორც შეუცნობილს სამყაროდან მოსულსი უცხო სტუმარი, მისივე სტრუქტურებით რომ ვთქვათ, გამოუცნობი „ლანდი, არაქვეყნიურ დარღობა გადამწვარი“. იგი პეტრე იბერიის, რუსთაველის, გურიანიშვილის, ბესიკის, ბარათაშვილის, ამ გენიალური წინაპრების შტავსად, არ ვაგსლია სამშობლო მხარის, არ მიუტოვებია მშობლიური ხალხი...“

მართლმანა და „ბოლოში“ მითრევებულმა პოეტმა ვედარ აიტანა ამქვეყნიური სიყალბე, უსულგულობა და, პოეტისის ნიშნად, შეთხზე

სართულიდან ვადმოეშვა მის სათაყვანებელ მშობლიურ მიწაზე. მოკვდა ისე, „როგორც პოეტს შეეჭვობა“. ვალაქიონის ცხოვრების ერთ-ერთი მართლ სახსოვარი და ამაღლვებელი ფურცელია მისი მოგზაურობა იმერეთში, მშობლიურ, გამზრდელ რაიონში. ეს მოხდა 1955 წლის ივლისში, მოვლსმინით პირად მის. მისივე დღიურში ვკითხულობთ:

„9 ივლისი. ვახტანგ გურგენიძე, მომხსენებელი ქალი და მე მივედით სადგურზე „ზიმი“-ით ზუსტად ღამის 12 საათზე. ზრდილობაშია მოვლსმა მაჭარაშვილმა გვისურვა ერთი მგზავრობა...“

უნდა პირველის 15 წუთია. საუბარია... სამცხე-საათაბაგოს რაიონზე, ვარძიაზე და სხვა. გვაგონდება ქლუხორი და უფრო ახლობელი რაიონი. სცანენი ქლუხორში, სტავროპოლის ახმეძე. კარგი იქნება მოგზაურობა ამ ძველ ქართულ რაიონში, მართლდაც... მაგრამ...“

ცანდებდით, ჩვენ სამი ფოტოს მატარებელში, საერთაშორისო კუბეში...“

სად არიან დანარჩენები? პირველს 15 წუთი უკლია. რატომაც არ ჩანან.

— მაგრამ სამი: სიღამოს გამხსნენი, მომხსენებელი და მთავარი მოწაწული ხომ აქა ვართ... ძირითადი ბიოთეე აქ არის.

— პირველს ათი წუთი უკლია. არ არიან.

საინტერესოა, რისთვის არ არიან. გვიჭირავს ორი კუბე: მეშვიდე, მეორე; მეცხრე და მეათე ადგილები.

პირველს სხეთი წუთი აკლია.

კუბეში უნდა მხოლოდ მე ვარ. ვახტანგ და მომხსენებელი ქალი კუბედან ბაქანზე გავიდნენ. აღბათ ისინი მოვიდნენ მათ, რომლებიც ავგვიანებენ, ან სრულებით არ მოვლეს (ეს იქნება შევგნებულს არმოსვლა).

საღდაც საათმა თორმეტჯერ დარეკა და გაისმა ჰიმნი „სოფელ ნერუშვილი“ და, ლავროსც გამოცანდა. მამასადამე, უნდა ვართ ოთხნი. ოთხნი ვართ. მონი საცქარიათა.

ორის ოცი წუთია.

ავივსენეთ მოხუცი შლვა დლიანი, თედო სახოკია, ლეო ქიანელი, ნინო ნავაშიძე, იპოლიტე ვართაგავა, მარიამ გაიჩუყული და სხვა. ყველაზე მეტად შლვაზე იყო სიმბარო. გვირინტი ქეთოქე გავგანსენდა. იგი 75 წლისა. აჰ, დრონი, დრონი...“

ლავროსი უქმყოფილია საღეჭ

ციო ბიურთოთ, ბილეთები რატომ ვერ გაანაწილეს კარგად.

„შეუტოვება კიდევ საღეჭციო ბიურთოს. რატომ? რაშია საჭეჭ?“

რას ახვეებს საღეჭციო ბიურთო? არაფერს! სრულებით არაფერს! მაგრამ...“

პირველის ნახევარი, ჩვენი დროით, მატარებელი ჩავა ფოთში. ჩვენ კი სამტრედიისში 11 საათზე ვიქნებით. ასე მეუბნება ვაგონის კონდუქტორი თუ გამოცხადებელი.

ორის 25 წუთია (ჩვენი დროით).

ორის 40 წუთზე გამოცხადდა ანდრო თევზაძე და მატარებელიც დაიძრა. მთელი შემადგენლობა შეკრებილა. მივეჭრებით ფოთისაკენ.

გზაში ლაპარაკია „კომუნისტისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ დავაზე, ვაზ. „კომუნისტის“ მ აპრილოს სარედაქციო წერილში, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოსკოვიდან დამრუნებაზე, ქვაჩახიაზე, მოსკოვი არ დათანხმებია „კომუნისტის“ გამოსვლებს „ახ. კომუნისტის“ წინააღმდეგ. ქვაჩახიას აგინებს ანდრო თევზაძე. გადაკატებს ლავროსი კოლანაძეს „ლოტო. ვახუშთი“ მოთამსხველები წერილის გამო. და ასე ჩავვძინა კიდევ გამოვეგულია. დახედე საათს. დილის 8 საათი იყო. უკვე იმერეთში ვართ. ჩვენზე რატარბლის ფანჯრადან გვედებურ ტყვეებს, ვეგლებს, ლელვებს და ფიცხებს. ვუახლოვდებით სამტრედიას. აჰ, ის წერილი! შეიძლება თუ არა გამოთავისუცქაში.

ერთმეტის ნახევარზე სამტრედიისში დიდა. დაგვხვდა რაიკომის მდივანი.

და აი, მივეგზავრებით იმ გზით, რომლითაც არასოდეს არ მივლია. „ზიმი“ მიგვტარებს მთის ძირას ახალდა გაყვანილი გზით.

„ზიმი“ ამ გზებზე.

ჩემს ყმაფულებშია მთის აქ დილით-იანსსაც არ ვაგულვლია.

წინათ დიდი გზა ჩვენს გზასთან ჩაღიდა.

უნდა სხვა გზაა...“

სამწუხაროდ, აქ თავდება ამ მოგზაურობის უსასებო დიდი პოეტის ჩანაწერი.

ვეცდებით პოეტის დღიურის გავრძელებას. ვანში ჩასვლისას დავბინავდით სასტუმროში. დავიგინეთ და იქვე. ახლობელს მიღამებენ თვალთ გადავავლებ. ცენტრში, თვალსაჩინო ადგილზე, დიდი აფეთქატორიანება ხალხს, რომ 9 ივლისს კულტურის სახლში ტარდება ვალაქიონისსადმი მიძღვნილი თემატური საღამო.

გადასჯე...



...საოამოს შვილ საათზე გალაკტიონი და მისი თანმშლები პიონი გამოვიდეთარ სასტუმროდან და მივიგოთებით კულტურის სახლისაკენ, მაგრაბ... რომელი კულტურის სახლი დიდებენ იმ ზღვა ხალხს? გადაწყდა, საღამო ჩატარდეს ღია ცის ქვეშ, ვინის ცენტრში.

ხალხის ასეთი მოზღვაება იმანაც გამოიწვია, რომ ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდობა ფაქტობრივად პირველად ხვდებოდა თავის საამაყო პოეტს. გალაკტიონი ხომ იცოცხლებოდა, რაც არ ჩასულა თავის წმინდელურ ყველაში?

ისიც ყველამ იცოდა, რომ მისი მოწვევა, მიუხედავად არაერთი ცდისა, ყველაფერს „შეზღუდაც“ პოეტის ხელოვნობიანი უფროსი. თუ მკრეხელობაში არ ჩამეფლებოდა, ამჯერად, მისი გამგზავრების თანხმობა განაიხრობა ამ წერილის ავტორისადმი გალაკტიონის ნდობით აღსაყვანი კეთილშინაობით.

მოედის ტრიბუნაზე სტუმრებთან ერთად ახდენდა მასპინძლობა — რაიონის ხელმძღვანელები: გიორგი ლილეუშვილი, გერმანე მალაყელიძე, ერემია სიგუა, ნიუ ლორთქიფანიძე და სხვ.

დიდზე დიდ პატივი მხვდა წილად, პირველი მივსალმობიოდ გენიალურ პოეტს. გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება და ვალუბელი ჰქონდა ქალბატონ ფატე ნიშნიანიძეს. მან პირნათლად შეასრულა ეს საპატიო მისია. მწერალითა კავშირის სახელით სიტყვა წარმოთქვა კრიტიკოსმა ლავროსი კალანდაძემ. პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხა პოეტმა ანდრო თევზაძემ, მსჯელან პოეტს მიესალმა ვანის საშუალო სკოლის მოსწავლე ლეილა ნიკოლოზიშვილი.

ტრიბუნა გადაიხედა ცოცხალი ყვევლებთან თავიკვლით. რაიონის მუშაკთაგენციის გულთხმება გამოხატავის სიტყვაში ვანის საშუალო სკოლის დირექტორმა ალექსანდრე ნაირაძემ.

დასასრულად, გალაკტიონმა მძღლოდა გადასჯიდა „მეზობლებსა და მეგობრებს“, იქ მყოფ საზოგადოებას... ამის შემდეგ კვლავ კულტურის სახლისაკენ გავემართეთ. მრავალმხრივ საინტერესო იყო საღამო-კონცერტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კულტურის სახლის დირექტორი ლევან გერსამია (გუდნის ლობთაძობრება პავლე თათარაშვილი). კონცერტის მსვლელობისას ლექსები წაიკითხა:

თხეს: ციკინო შენგელიამ, ოთარ ნიკოლაიშვილმა. მინანა დისამიმეძ და სხვ.

მეორე დღეს, 10 ივლისს, დღილით, სასტუმროდან ავტომობილში შეუპოვითგან გავემგზავრეთ. მივსალმედ, ვახლავაზა სტიქიურად იმართებოდა ნანმოკლე „შეხვედრები“.

შუადღეა. ტექნიკუმის ეზო ხალხითაა სავსე. აქ, მოსწავლე-მასწავლებელთა და მეული რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გერმანე მალაყელიძემ (იმ საღამოს, მისსაკენ სახლის ეზოში, გაიმართა სადილიც).

აქვე, სახალხო პოეტს მივსალმენ ვახტანგ ყუბანიშვილი, ტექნიკუმის დირექტორი ნინა აფხაზაია, მოსწავლეები: დალი მავალიანი, როზა ახობაძე, ერორა მახარაძე (მან წაიკითხა საკუთარი ლექსი „საღამო გალაკტიონ ტამბიძეს“). არ, ახობაძემ მოსწავლეთა სახელით წინადადება შემოიტანა, რათა სახლში, სადაც დიანა ვალაკტიონ ტამბიძე, მოეწყოს პოეტის სახლ-მუზეუმი. წინადადებას მკუხეხა, ხანგიძილივი ტაშით შეხვდნენ... შუამთის შეხვედრა ამშვენიერა სასწავლებლის მოსწავლეთა სამღერის გუნდი ვ. როგავის ხელმძღვანელობით...

იმავე დღეს მიღებულ იქნა დადგენილება ვანის რაიონის მშრომელთა დემუტრატების საბჭოს აღმასკომისა: „სიღვიძე ჭკვიშიში არსებულ გალაკტიონ ტამბიძის სახლში პოეტის სახლ-მუზეუმის გახსნისა და შუამთის კულტურის სახლისათვის გალაკტიონ ტამბიძის სახლის მიკუთვნების შესახებ“.

სულ სხვაგვარი განცდა და სიხარული ახლდა გალაკტიონის მობრძენებს მოზობილურ სოფელში... აქ გასაკვირი არაფერია. დიდმა გალაკტიონმა, როგორც პოეტმა, ხომ პირველად ფეხი ამ ლამაზ კუთხეში მიღებული განცდებით აღდგა? აქ ხომ პირველად აუღერდა მისი პოეტური ქნარი? მაგრა...

ვაფრინა ბავშვობის დღეები.
წინდებები, პალები, ტყუები.

და აი, შუაშობილური ხალხის წინაშე იდგა ქართული პოეზიის მწვერვალი, ახალი პოეტური კულტურის მშენებელი და სიამყე...

ალბათ, ყველა ჭკვიშელს, დიდსა და პატარას, მოეყარა თავი გალაკტიონის კარნადადში. სახლთან მიანდობისას სასტუმროსაკენ შეეგებნენ ნათესავები: მისი სავაგროძის პროკლე. მეუღლე, ქალბატონი ტრიანა ტამბიძე (ციხციძე), ელპარი ბახტაძე (სახლის მოძველელი), ტამბიძეების გვარში უხუცესი დიმიტრი ბაქარაის ძე ტამბიძე, ბიძაშვილი —

მსკოვანი პედაგოგი, ტციანის მძა სიმონ ტამბიძე მეუღლითურთ, 86 წლის მოხუცი ბიძა დიმიტრი ტამბიძე, მოგვარეები: გრიგოლ, ალექსანდრე, გიორგი, დავით ტამბიძეები და სხვ.

პოეტი აღის აივანზე, შედის სახლში, ათვალვირებს, გამოდის და აივანის მოკაბთან ჯდება. საუბრობს მისიუბრებთან. შემდეგ მობინახულა შედის საფლავი... ჩავიდა რიონის ნაპირზე, შეთავალივთა ყანები, ახლომასლო მიდამოები...

ნაშუადღეს გალაკტიონის ეზოში იშლება სუფრა. ამ სუფრის თამადა ალექსანდრე ტამბიძე იკვინებს: „ლონიზა დიდხანს გასტანა. გალაკტიონის ღვინოს ძალიან ერიდებოდა. სადღვრემქლოს იტყოდა და სასვე ჰიქას ისევე მაგდასხე დამძა. ბოლოს მაინც მოიწვია, ჩემი ძმა პირველ განმასხენდაო, — დადარდიანებულმა თქვა... (გაზ. „ქუთაისი“, 1973 წლის 24 აგვისტო).

მართლს ბრძანებს ბატონი ალექსანდრე. გალაკტიონი მგზავრობის დროს ღვინოს საერთოდ არ ეკარებოდა. მე მხვდა ბედნიერება, მასთან ერთად მემოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მას ასარადოს დაურეგვევია ვი ჩვევა — არ დღუღევა ღვინო, მხოლოდ ვანში ყოფნისას მოვილაპარაკეთ, დილადა რიან ჩემად წავსულიყავით ბაზარში და იქვე დადგეულია თითო ჰიქა ნატურალური ღვინო და შეგვეტანებინა პრასის მწვინი.

„გამოვიპარეთ“ სასტუმროდან და ბაზარში შევედით. მე წინ მივდიოდი და ვეძებდი ნატურალურ ღვინოს, მაგრამ ამოდ, ბოლოს, თველი მოეკარი ერთი ხანწიშვესულ იმერულ გლეხს, რომელიც ღვინოს ჰყიდა. მე მას ჩუმად ვეთხარა: ნატურალური ღვინოს ვეძებ და იქნებ, აქვე, ერთი ჰიქა დავავალევიოთ-მეთქი. მან ლობილით შემოგვხვდა და თქვა: — ტუტულიყავებთ. მას შემდეგ, რაც ჩვენმა გლაკტიონმა უმღერა ჭერარახსულ რეველუციას, საღლა ნატურალური ღვინო მოვემართეთ თბილისისაკენ.

...მესამე დღეს ვანიდად გამოვიმგზავრეთ, გამოვიარეთ გალაკტიონის რიდალთან, მისი ოჯახში — სამარტედიაში. ცოტა ხანს შეგჩერდით და გამოვემართეთ თბილისისაკენ.

ჩვენი მოგზაურობის შესახებ, გარდა კინოტრონიკისა, შემორჩენილი გვაქვს კინომატროტრიბის მიერ გადაღებული გალაკტიონის უცნობი ფოტოსურათები, რომელთაგან რამდენიმესაც აქვე გთავაზობთ.

მინაწირი: შეუძლებელია, არ აღვნიშოთ ის ამბავიც, რომელიც გადავხვებოდა ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით.

ჭერ კიდევ გამოვავრებამდე, როცა „საილუმო“ სამაზალის შევუღეკით, გადავწყვიტეთ, კინოსტუდიიდან წაგვეყვანა კინოოპერატორები. ხელმძღვანელობისაგან ცივი უარი მივიღეთ: ვერ გავატანთ, ჩვენ პიროვნებებზე აკრძალული გვაქვს კინოკადრის გადაღება, ხომ იცით, რა ღონისძიებები ტარდება „პიროვნების კულტის“ მათე შედგების წინააღმდეგო. კინოსტუდიასთან რომ ვერაფერი გავაწყვე, მივმართე კულტურის მინისტრის მოადგილეს ბატონ ვლადიმერ ჰიუტელს, ავუსხინი, რომ გალაკტიონე თითქმის არაფერია გადაღებული და იქნებ დაგვეხმარა-მეთქი. მან ტელეფონით კინოსტუდიის დირექტორს მთელი კატეგორიულობით დაავალა, გაეყოლებინა ჩვენთვის კინოოპერატორებიც. მაღლობის მეტი რა გვეთქმოდა...

სამწუხაროდ, გადაღებული 180 მეტრი ფირიან მხოლოდ მცირედი ნაწილი იქნა გამოყენებული 1955 წლის № 25 კინოჟურნალში. დანარჩენი დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში, როცა დაიწყო მისი ძებნა, ვერ მივაგენით. ამ მცირედი, მგარამ დღეისათვის უნიკალური და უბრწყინვალესი კინოლოკუმენტის შექმნისათვის კულტურის მინისტრის მხრი-

დან დღი საყვედური დავმასხურე. „თურმე ვაბტნე გურგენიძეს, — წერს თავის ერთ-ერთი ჟების წიგნაკში გალაკტიონი, — კულტურის მინისტრმა საყვედური გამოუცხადა, რატომ გააკეთეთ ვანის კინო. — ერთი სიტყვით, ის წინააღმდეგია ბერის“. მგარამ პოეტი სარკაზმული ლექსით აბლოგებს თავის „შენიშვნას“. დავქენ, რომ კულტურის იმდროინდელი მინისტრი შეცდომაში შეიყვანეს ქვეშევრდომებმა.

ამ მოგზაურობის „მიზნით“ სხვა მხრივაც მისაყვედურეს. არც ეს გამოპარვია გალაკტიონის: „კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსს გამოუძახებია გურგენიძე, რაშია საქმეო, როდღან შემოიღეთ ლექციების ასეთი ფორმა... ეტყობა, გურგენიძე დაშინებულია...“ (ამჭერად, მიზნუ საყვედურისა, ჩვენს მიერ გალაკტიონთან განხორციელებული „შეხვედრები“ და „თემბატური საღამოების“ ჩატარება გაზღდათ).

და, როცა ვისხენებ გალაკტიონისადმი ამგვარ დამოკიდებულებას, სევდიანად მედიმება: როგორ დააჭერებ მომავალ თაობებს, რომ გეყავდა გალაკტიონი, ცხოვრობდა ჩვენს გვერდით, ჩვენს დროს და, ამ „ტექნიკის საყუენში“ ვერ შეეჭმენით მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამახველი „ცოცხალი ისტორია“ — ვერცერთი სრულმეტრაიანი დოკუმენტური ფილმი!.



მერი



1
წაქარია ჭიჭინაძეს, ცნობილ მწიგნობარსა და ისტორიკოსს, ახალგაზრდებმა უკენ ჩემი ლექსი „მერი“ — ეს ლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ერთ დროს.

— რა ჰქვია სახელად იმ ლექსს? — კიდევ შეეკითხა წაქარია.

— „მერი“, — იყო პასუხი.

— აა, ვამიგონია, — სთქვა დინქა მწიგნობარმა... — შენ ხეთ-ჩავახეთშიც კი ძლიერ გავრცელებულია ეს ლექსი.

— ეს როგორ? — გაოცდნენ ახალგაზრდები.

— იქ ახეთი ლექსია, — სთქვა წაქარიამ — „შე რომ მოვკვდე, შე რისთვისა, გადა-მოიღე მერისთვის!“ — ძალიან პოპულარული ლექსია, — დარწმუნებით დაამატა წაქარია.

2
ერთი მერი ერთმანეთს არა ჰგავს. ასე, ალექსანდრ ბლუკის მერი — სიმბოლური სახეება, ჩემი მერი — რომანტიული, მაგრამ რეალური და ცხადია. კრიტიკოსებს კი სურთ, ამ ლექსით გაახან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლუკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია.

3
ერთხელ ოპერის თეატრში — „მერი“ ცოცხალ სურათად დახდგეს. მერის ახორციელებდა მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი. იგი იღვა პიედესტალზე, ანათებდა ბენჯელის ცეცხლი, კვეთით ვიდეო მე და ვეთხულოდი „მერის“.

4
„მერი“ ჩემდა დაუკითხავად დაიბეჭდა გაზ. „ოპერტი და ცხოვრებაში“ 1916 წ. მალე ისე პოპულარული გახდა, რომ ყველამ წეპირად იცოდა.



ბალატიონე ტაბიძე

ფრაგმენტი

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი, ერთად ლებიან ჩვენს მამათა უკბოს ფიცარი. ორპირის ფშანის ერთად ვწოვთ ჩვენ უფმურები და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით... გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი, რიონის ტალღად დავედევნა ხიტევა ანკარა, ერთია ჩვენი სამუდამო საშმის ემბაზი, ლექსი ქართული, გაიმართა ორპირის სახით. მესმის ყანებში გადაბმული გრძელი ნაღური, მოაქვს დილიქანს კენდილიბი და „ნაკადული“. მოიძღვრებ შარავზაზე ჩალანდარები და შიშველ ფეხებს აქ ეკალიც არ ეკარება. მე შემოიყვარდა სამუდამოდ ჩვენი ორპირი, შენ გაბრძავებდა ბავშვობიდან მარტო დაფნარი. მღერის გომბეშო გაუმშრალი და ოქროპირი, ჩვენი სიმღერაც ამ ორკესტრის ხმაა დამდნარი. ეხლაც ზუიან სვილიფეშში მშვირი მგლები და ამ ტალახში ჩაეფლობა იხტიოზავრი. დაჟანგებულა იქ თოხები, ჩვენი ნამგლები და მოხსნეს ალბათ სამერკლოდან მწიფანა ზარი. და მოღუნული აცხობს საკურთხს აქ ორი ღედა, რომელსაც ცრემლი მარტო ერთი თუ დააკურთხებს. კიდევ კარგია, თუ მოყვარემ ვინმემ გაბედა, თუ კიდევ შერჩნენ მეზობლები დაწყველილ კუთხეს.

ირაკლი აბაშიძე

ბილიკი მღერის

იისფერ თოვლის ვენბიანდ ხილიდან ცვენა, შუქი და ბინდი, ცა დამდნარი რთილად და ნამად, ო, ყველაფერი მას ესმოდა მუსიკის ენად, ო, ყველაფერი მას ესმოდა ერთ გაბმულ გამმად; ან იქნებ არა, იქნებ არა, იქნებ ბირიქით, საგანი ყველა იქცეოდა მის წინ ბგერებად და ყველა ვარი, ყველა ღამე, ყველა ბილიკი თვით იყო ჰანგი, იყო ქლერა, ასიმღერება. ის კი უტყუარ ყურთასმენით, გაუგონარით, ამ ქლერის ტალღებს, ქლერის წვეთებს, ქლერის ყვარნაებს იჭერდა, რალაც მიმღეობის უცნობ უნარით როგორც დღის პეპლებს, ვარდის ფურცლებს, ღამის ფარვანებს... ო, ბედნიერი, ბედნიერი, ნეტავ მის ღელვას, ის იყო ღვიძლი ღღთა მისთა

აზრის და ფერის: არის დრო ქვეყნად როცა მღერის საგანი ყველა — ყვავილი მღერის, ღამე მღერის, ბილიკი მღერის, არის დრო, არის, დრო ეკუთვნის სიმღერის წყურვილს, ბუნების ქლერას, მიწის ქლერას, ორფეხის სმენას; არის დრო, როცა თავს დამალავს პაპლეთის წყლული, ფაუსტის ტანჯვა, ურწმუნობა, ფაუსტის რწმენა, და იგიც, იგიც ხმებს უყვარდათ, ვით მოსვლა წვიმის, უყვარდათ ბგერებს, როგორც ბალებს, მშვიერებს და შიშვლებს... მშობლიურ ენას მან უპოვა თვისება სიმის, მშობლიურ ენას კვეთდა როგორც მუსიკის ნიშნებს. ნეტავ მის სმენას, ნეტავ იმ ხმებს, ნეტავ მის ღელვას —

ბალატიონე

საქართველოში შენს გარდა მგოსანს დღეს ქების შაირს არ ვეტყვი. არა, შენა ხარ ლექსის მეორედ მოსვლა, და, რომ არ გითხრა, ივარგებს განა?!

ხან ამაყი ხარ, გულანათროლი, ხან კი ბავშვით ხარ დარცხვნილი ხან მოცანცახე ვერხვის ფთოლი — შემოდგომისას ძირს დაცვენით.

რით გაგაკვირო? რით გაქო? ბოლოს ერთს გეტყვი მარტო შევირილ შენი: ჩვენში მგოსანი შენა ხარ მხოლოდ, რომ სიცოცხლე და ლექსები გშენის.

1940 წ.

ბირანტი ზრანელი

••

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზოა. ვალატიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგლოზოა.

ყოველდღე ვიღებ ძვირებს ბარათებს, ალში მივდივარ, ეს დღე კივია. ვალატიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხვიოა.

შორს ქარი კივის, ახლო მტერია, ახლა დამდება, შვილია სრული. ვალატიონში ლურჯი ფერია და ჩემ ლექსიდან მოჩანს უფსკრული.

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზოა. ვალატიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგლოზოა.

ის იყო ღვიძლი ღღთა მისთა აზრის და ფერის... არის დრო ქვეყნად როცა მღერის საგანი ყველა: ყვავილი მღერის, ცრემლი მღერის, ბილიკი მღერის.



... "הם, אנחנו, אנחנו, אנחנו
האנשים האלה"

אוריאל זעב



გალაკტიონი და ოლია ოკუჩავა.

... ღრმად მნახს, რომ
გალაკტიონი იმობზაურებს
ჩვენს ულანეთაზე, მისი ზოეზი
იძცევა სწვადსსვ ენაზე
მოლაპარაკე ხალხთან
საქუთრებად.

ედუარდ შებარდნაძე

WIE SPÄT IST ES?

Jetzt ist es, freilich, sehr spät.
Das Leid hat in meinem Herzen übernachtet...
Doch gibt mir die bittere Frage keine Ruh
Wie spät ist es?
Ich stehe am Fenster...
Und die Nacht will nicht vergehen.
Wie auch die Zeit unseres Nichtzusammenseins...
Wie spät ist es?
Es mag sein, daß jitzt nur halb drei ist...
Wie spät ist es?
Es war Charle Bandelaire:
„Es ist die bittere und gute Stunde
Des Weins und des Trinkens“.
So gab er die Antwort auf die Frage:
Wie spät ist es?

გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ კუპრაძემ.



ვალერიან გაურინდაშვილი, გალაკტიონი და
გიორგი კუჩიშვილი.



გალაკტიონი შოხლბეთან.



სემინარიელი გალაკტიონი.

გალაკტიონი და დომენტი თომშაველი.



